ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5217660

ნომერი: AR1791428

თარიღი : 27.11.2020

გაცემის თარიღი : 08.12.2020

გაცნობის თარიღი : 08.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N29, კორპუსი N4; კორპუსი N5; კორპუსი N6; კორპუსი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიო ბერიშვილი პ/ნ 01008050958
- მ. კოსტავას #75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 27 ნოემბერს №AR1791428 განცხადებით მომართა სოფიო ბერიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 07

აგვისტოს №5056754 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს № 5056754 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №113-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.094) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი №2, სახლი №6) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 07 აგვისტოდან 2021 წლის 07 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, №6 ბლოკისთვის გათვალისწინებულია ღია ავტოსადგომები (23 ავტოსადგომი), რომლის ფართობი (341.6 კვ.მ.) ბრძანებაში არასწორად არის დაფიქსირებული. ასევე, №6 ბლოკისთვის განკუთვნილი ღია ავტოსადგომები (23 ავტოსადგომი) დატანილია სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებით შეთანხმებულ ავტოსადგომების გადანაწილების განახლებულ სქემაზე. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს აღნიშნული ღია ავტოსადგომების ფართობის (341.6 კვ.მ.) სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 ბრძანებაში დაფიქსირებას. განმცხადებელს ასევე სურს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას შიდა ავტოსადგომების ფართობი, ვინაიდან აღნიშნული შიდა ავტოსადგომების ფართობი განკუთვნილია №7 ბლოკისთვის.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. ამასთან, ავტოსადგომების გადანაწილების სქემაზე დატანილ იქნა №6 ბლოკისთვის გათვალისწინებული ღია ავტოსადგომების ფართობები (23 ავტოსადგომი). სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს № 5056754 ბრძანებიდან შიდა ავტოსადგომების ფართობის (755.3 კვ.მ.) ამოღებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 3946.2 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 ბრძანებაში და:
1.1.ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელბიდან ამოღებულ იქნას ავტოსადგომების ფართობი 755.3 კვ.მ. აღნიშნულის გათვალისწინებით საერთო ფართობად დაფიქსირდეს 3946.2 კვ.მ.
1.2.ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-5.0 პუნქტში დაფიქსირდეს შემდეგი ჩანაწერი: ,,5.0. №6 ბლოკისთვის დაფიქსირდეს 23 ღია ავტოსადგომი (ფართობი 341.6 კვ.მ)''.
1.3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 ბრძანებით შეთანხმებული ავტოსადგომების გადანაწილების სქემა ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ავტოსადგომების გადანაწილების სქემით.
2.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3.წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 ბრძანებასთან ერთად.
4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7),